№ 266. 19 დეკემბერი, ქვირა. 1866—1882 19 დეკემბერი, ქვირა. № 266.

რედაქცია

გალაკტიონის ბრილიანტშეტზე თ. ივ. მუსრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თფილისში წლისა . . .	9 მან.	სამის თვისა . . .	3 მან.
ექვის თვისა . . .	5 მან.	ერთის თვისა . . .	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 3 კაპ. ასოზე ნახევარი კაპ., ნაკვალევრიანი ასოთა ხარჯი ასოზე 8 კაპ.

ოფ ხაზზეა მოითხოვების, რედაქცია კისრულობს შეამოკლებს ადასტურებულ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უარს ეუბნება ბეჭდვას ჟურნალს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და ებრაულ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეული „დროების“ ფასი ექვსი შაური.

მომავალ 1883 წელს ეოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა ტ წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა ტ სხვა დოსანსაებების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი ტ ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავანის ბრასშეტზე, თ. ივ. კ. მუსრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლეგ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით:	9 მან.	სამის თვით	3 „
ნახევარის წლით	5 „	ერთის თვით	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სასელი ტ გვარი ტ საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ტელეგრამა

(„ნრდლოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

17-ს დეკემბერს.

პეტერბურღი. რუსის ელჩი გრაფ ოსტენ-საკენი უცხო ქვეყნის საქმეთა სამინისტროის რჩევის წევრად დანიშნა.

მმართებლობისაგან დანიშნულ კომისიას ამ დღეებში რასკოლნიკების თაობაზედ ჰქონდა საუბარი. ჯერ არა გადაუწყვეტიათ-რა.

ებრაელების თაობაზედ დანიშნულ კომისიას ექნება საუბარი იმაზედ—თუ რა უფლება უნდა ჰქონდეს ებრაელებს ვაჭრობაში, წარმოებაში და განსაკუთრებით იჯარების (ბოდრიადების) აღებაში და გლეხებზე ფულის გასესხებაში. იმბობენ, რომ უნივერსიტეტებში კურს-შესრულებულ (დეისტვიტელნი სტუდენტს) ქრისტიანს და ებრაელს ერთნაირი უფლება ექნებათ მინიჭებულია.

ბერლინი. რეინის ნაპირები თითქმის სრულიად წყლით არის მოდებული. საშინელი წყალ-დიდობაა. ადიდებულმა წყალმა ბევრი ხიდები წაიღო.

პარიზი. პოლიტიკურ საქმეების მცოდნე პირები ამბობენ, რომ საფრანგეთი და იტალია დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო.

«დროების» ფელეტონი, 19 დეკემ.

საკვირაო მასლაათი

საკვირველ დროში ვსცხოვრობთ. რაც არ გაგონილა, ის გვესმის; რაც ჩვენს დღეში არ გვინახავს, იმისი მაყურებლები შეეიქენით; საითაც ფეხი არ გადაგვიდგამს, იქით გვიჩვენებენ გზას.... ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრება ყოველის მხრით შესანიშნავი გახდა....

ბანა როდესაც ჩხარის საზოგადოებამ პირველად იკისრა თავზედ სკოლის ხარჯი, გადაწყვიტა დაეხსნა თავისი შვილები უმეცრებისაგან, მაშინ იმ თითქო ბედნიერ დღეს, განა ასეთი მტრული თვალით უყურებდა ის თავის სკოლას? სულაც არა, თქვენმა მზემ. მაშინ უნდა გენახათ ჩხარის საზოგადოება, ჩაგეხედნათ იმისი გულის სიღრმეში, იქ სულ სხვა ლექსებს ამოიკითხავდით. მაშინ ჩხარის გლეხი ამაყად შეჰყურებდა მომავალს. მაშინ იგი გრძნობდა თავის თავს კაცად, რომელიცა ფიქრობს საზოგადო საქმეზედ, რომელსაც მიუცია ზურგი თავის მეზობლისათვის, აშას სხვისთვის და ეგრეთ შეუდგენიათ ერთი მტკიცე საზოგადო ძალა უმეცრებასთან ბრძოლის გამოსაცხადებლად. ჩხარის გლეხის სული დასეირნობდა მაშინ მომავალში, სადაცა სტკბებოდა სასიქადულო სურათით, რომაო აგერა ჩემი შვილი იქამდინ განვითარებულა, რომ იმაზედ ეველარც ერთი მტარვალი ვერ გაილაშქრებიო და თუ ამას გაბედავს, მაშინ ჩემი შვილი იმ გვარად აიცილებს იმას თავიდგან, რომ მეორედ ეველარ გაბედოს ამისთანა თავ-ხედობა ვერა მტარვალმაო. მერც მიკიტანი, ვერც მღვდელი, ვერც მებატონე და ვეღარც მოხელე ვეღარ იკადრებენ ჩემი შვილის დამონებას. აწინდებულად, რაკი ჩემი შვილი ნასწავლი კაცი იქნებაო, გაიგებს ავსა და კარგსაო. ჯანი გამეარდეს, მე ეხლა დავიკლებ ჩემი მცირედი ნამუშავრისაგანაო, ოღონდ დავთესო ჩემს შვილზე ისეთი სიკეთე, რომელიც იმას დიხსნის ჩვენი ტანჯვიდგანაო!

რამოდენა სადღეგრძელოები დაიხარჯა იმ დღეს, როდესაც პირველად აკურთხეს და დალოცეს სკოლა!

ამ დღეებში ჩვენი მკითხველები მიაქცევდნენ ყურადღებას, როგორი ალტაცებით მიიღეს სოფლის მცხოვრებლებმა სკოლის გახსნა წყალტუბოში, რა ნაირი თბილი და ტკბილი სიტყვებით მიეგება მის კურთხევას ... ლობრიეი პრისტავი. კორესპონდენტი იწერებოდა—ისეთი ალტაცება მოახდინა ამ სკოლის გახსნამაო, რომ სამეზობლო სოფლელებმაც გადაწყვიტეს, ჩვენც დავაარსებთ ჩვენშიც ამისთანა წმინდა საქმესაო.

მერე უნდა გავიდეს რამოდენიმე ხანი.

ღმერთმა ნუ ქნას. ამისთანა უბედურება დღესაც გვეყოფა. სულ ხომ არ შეიძლება, რომ აგეთი საკვირველი და საზარელი სუნი ტრიალებდეს სოზოგადო ცხოვრების ჰაერში. მინამდის, იმედია, გამოიდარეს ბუნება, გამოანათებს ბრწყინვალე მზე და ჩვენთვისაც გამოიმეტებს ცოტაოდენ სითბოს.

×

აგერ თუნდა ისევ იმავე განათლებისა ... ბრიეი პრისტავი. კორესპონდენტი იწერებოდა—ისეთი ალტაცება მოახდინა ამ სკოლის გახსნამაო, რომ სამეზობლო სოფლელებმაც გადაწყვიტეს, ჩვენც დავაარსებთ ჩვენშიც ამისთანა წმინდა საქმესაო.

ტუიბულის რკინის გზაზედ.

ტფილისი, 18 დეკემბერს.

ამ დღეებში პეტერბურღიდამ მოვიდა ამბავი, უმაღლესმა მთავრობამ გარდაწყვიტაო, რომ ფოთი-ტფილისის რკინის გზიდამ ტყიბულის გამოჩენილ ქვა-ნახშირის მადნამდინ რკინის გზა იქმნეს გაყვანილი.

ამ ნირად, სისრულეში მოდის დიდი ხნის ნატვრა და მეცადინეობა ამ ქვა-ნახშირის მეპატრონეებისა და ყველა იმ პირთა, რომელთაც ამ დიდ საქმესთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ.

მაგრამ ამ საგანს ამ-თავითვე ერთი სადავიდარაბო დაბრკოლება ალმოუჩნდა. ჯერ გარდაწყვეტილი არ არის: სად, რა ადგილას დაიწყება ამ რკინის გზის შტოს სათავე—თვითონ ფუთაისში, როგორც ამ ქალაქის მცხოვრებნი ცდილობენ, თუ აჯამეთის სტანციიდამ, როგორც აჯამეთის ტყის ერთი უმთავრეს მეპატრონეთაგანს ბ. ოლნანოვს ჰსურს.

ამის ისე თუ ისე გარდაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქ. ფუთაისისა, აგრეთვე თითქმის მთელი იმერეთისა და რაჭისათვის.

გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინად, რომ, ინტერესის გამოკელევით, ფუთაისის ვაგზლიდამ უნდა დაიწყოს ტყიბულის რკინის გზაო და შემდეგ ისეთი მიმართულება ეძლევა ქალაქის წრეში გზას, რომ თითქმის სულ კერძო მცხოვრებთა მამულები უნდა გადასჭრას და ბევრი სახლებიც უნდა დაინგრესო. როდესაც ფუთაისის ქალაქის რჩევას მოუვიდა დაკითხვა იმაზედ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ქალაქს რკინის გზისთვის საჭირო ადგილების შეძენაშიო, და როდესაც რჩევამ გაიგო, რომ ხსენებულ ადგილების შესასყიდველად (ქალაქის წრეში) ფუთაისს უკანასკნელი ორი მილიონი მოუნდებაო,—თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა ეს რჩევა.

„—იმისთანა ღარიბ ქალაქს, როგორც ჩვენი ფუთაისია, როგორ შეუძლიან ორი მილიონი გარდაიხადოს ადგილების შესასყიდველადაო!“ ამბობდნენ, და თითქმის იმედიც გარდაწყვიტეს ფუთაისზე ამ გზის გამოყვანისა.

ამ უიმედობას მიემატა კიდევ გაერცელებული ხმები, ბ. ოლნანოვი მუქთად უთმობს რკინის გზის გამგეობას ყველა იმ ადგილს, რომელზედაც იმის მამულში, აჯამეთში, ეს გზა გაივლისო; მუქთად უთმობს ამას გარდა რელსებისათვის საჭირო ტყეს და მუშაობისათვის თუ სხვა რაღაცასთვის სამი ათას თუმანს აძლევს კიდევაო.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ქუთათურებს ისევ გაულიმა ბედმა: ქალაქის რჩევაში ატყდა ხანგრძლივი ლაპარაკი იმაზედ, რომ ადვილად შესაძლებელია ისე მოთავსდეს საქმეო, რომ რკინის გზას ფუთაისში ვაგზალიდამ სხვა მიმართულება მიეცესო, ისეთი მიმართულება, რომ მომეტებული ნაწილი თვითონ საქალაქო მამულები, და არა კერძო პირებისა—შესასყიდველი, გადასჭრასო, და ამით, თუ შემოკლდება ეს გზა, თორემ არ გაგრძელდება და არც ხარჯი მოემატებაო.

დღეს ჩვენ მივიღეთ ფუთაისიდამ წერილი, რომლითაც გვაცნობებენ, საქმე ისე რიგდებაო, რომ ფუთაისის ვაგზალიდამ დაწყობილს ტყიბულის

ეროვნული

რკინის გზას ისეთი მიმართულება მიეცემაო, რომ ქალაქს ათას თუმნად ღირებულის მეტის კერძო მამულების შესყიდვა არ დასჭირდებაო.

ეს სანუგეშო ამბავია. სანუგეშოა იმიტომ, რომ მართლაც პირ-და-პირ ქუთაისზე გამოყვანას ამ რკინის გზისას დიდი მნიშვნელობა ექნება, სხვათა შორის, მთელი იმ მაზრისათვის ქუთაისის გუბერნიისა, რომელსაც ოკრიბას ეძახიან; ამის გარდა რაჭისათვის, ლეჩხუმისათვის და სხვ., რომლებთანაც ქ. ქუთაისს პირ-და-პირი კავშირი და მისვლა-მოსვლა გაუადვილდება. აჯამეთზე რკინის გზის გაყვანა კი, თავის პირ-და-პირ დანიშნულებას გარდა, თითქმის მარტო ბ. ონანოვს მოუტანს სარგებლობას.

ქუთაისს ფოთი-ტფილისის რკინის გზისაგანაც ეყოფა დაჩაგვრა. ახლა მაინც ნუ იქნება ის განზე მიტოვებული. ნუ თუ ყველა ჩვენი რკინის გზების გაყვანის დროს მხოლოდ კერძო პირების ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ და არა საზოგადო სარგებლობით, იმ სარგებლობით, რომელიც ამ გზას მთელი ქალაქისათვის და მთელი მაზრის მცხოვრებლებისათვის მოაქვს?

თუ ამ საზოგადო სარგებლობას მიიღებენ მხედველობაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ხსენებული რკინის გზა ქუთაისზე იქნება გაყვანილი და არა აჯამეთზე, და ამ გაყვანასაც იმდენად გაუადვილებენ ქუთათურებს, რომ დახმარება შეიძლონ, ტვირთის ატანა მოახერხონ. ამას მოველით ჩვენ როგორც ფოთი-ტფილისის რკინის გზის ბამგეობისაგან, აგრეთვე თვით ფინანსთ სამინისტროსაგანაც.

ლიტერატურა

ქავკასიის სამხედრო სასამართლომ ამ თვის 17-ს განიხილა ღენ. მაიორ. არცუ-ჩერმოევის, პოდპოლკ. ტხოსტოვისა და ხარუნჯის ეკიმოვის საქმე. ამათ აბრალებდნენ, გავლილ ომიანობის დროს, ჯარის ფულების შეჭმას. სასამართლომ ღენ. არცუ-ჩერმოევი გაამართლა, რადგან იმის გასამტყუნებელი საბუთები არ აღმოჩნდაო და დანარჩენი ორი პოდპოლკ. ტხოსტოვი და ხარუნჯი ეკიმოვი კი დამნაშავედ აღიარა, ჩამოართვა იმათ ჩინები, ყოველი ღირსება და ციმბირში დასახლება გაუჩინა პირველს ოთხი წლის ვადითა და მეორეს—სამის.

* * *

მთიდამ მოვიდა ამბავი, რომ ქობსა და ბუდაურს შუა გზა გაუწმენდიათ და რუსეთის ფოჩტა გადმოიტანესო.

* * *

რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავალის ანგარიშში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ კავკასიის მხრიდამ შარშან, 1881 წ., 553,532 მანეთი უფრო მომეტებული შემოსავალი იყოო, ვინემ წინა წლებშიო. ეს მომეტებული შემოსავალი უმთავრესად ბათუმისა და ყარსის მხრიდამ ჰქონია ხაზინას.

* * *

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა:

„როგორც სჩანს, ტყიბულის რკინის გზის საქმე ქუთაისის სასარგებლოდ გადაწყდება: თითქმის გათავებულია, რომ ამ გზამ ქუთაისზედ უნდა გაიაროს და ამასთანავე არც ისე ძვირად დაუჯდება ეს ქალაქს, როგორც ადრე იყო გაზეთებში გამოცხადებული; ქალაქის წრეში გზა თითქმის სულ ქალაქის საკუთარ მამულებზე გაივლის და კერძო პირებისა კი ბევრი-ბევრი ათას თუმნისა თუ იქნება.

„იქნება ამ მხრიც მაინც მიეცეს პატარა ნუგეში ჩვენს საწყალს ქუთაისს“...

* * *

გავიგეთ ნამდვილი ამბავი, რომ ქალბ. ეკატერინე მ. ლორთქიფანიძისას ქ. ქუთაისში მიუღია ნება-რთვა მთავრობისაგან ქართულის ყოველთვიურის ჟურნალის გამოცემისა. ჟურნალი იქნება საკუთრად ბელლეტრისტული, სახელად ერქმევა „ქართული ბიბლიოთეკა“ და ფორმატით „ივერიის“-ოდენი. ღირება წელიწადში ექვსი მანეთი.

მკითხველს გაეგონება, რომ ეს მომავალი ახალი დრო-გამოშვებითი გამოცემა იქნება ჩვენებური ქალების სამწიგნობრო ორგანო. სულით და გულით ვისურვებთ, რომ მათს ამ საქებურს პირველს ცდას დრო-გამოშვებითს მწიგნობრობის ასპარეზზე ღრმად გაედგას ფესვები და სასურველი ნაყოფი მოეტანოს...

* * *

ჩვენი ქალაქი ჩქარა დამშვენდება ცხენის რკინის გზით, რომლის გასათავებლადაც ისე გახურებულად მუშაობენ. ზოგი ერთს ადგილებში რელსებს უკვე კიდეც აწყობენ და იმედი არის, რომ იანვარში ქუკიის ხიდამდინ მაინც გაათავებენ. მთელი ტფილისელი საზოგადოება და ეგონებ ქართლ-იმერეთიც-კი მოუთმენლად მოელის ამ გზის გათავებას, რომ თავიდგან აიცდინოს მეფაიტონების უსვინიდისო ცარცვა.

* * *

ბაზ. „შრომაში“ ეკითხულობთ:

სავაჭო გიმნაზიის მთავრობას დაუყენებია ფრანცუზულის ენის მასწავლებლად ერთი ქალი, რომელიც საქალებო გიმნაზიაშიაც მასწავლებლად არის. ეჭვი არ არის, რომ ეს ძალიან კარგი უქნია გიმნაზიის მთავრობას. რამდენადაც ვიცით, ყველა ჩვენს საწავლებელში უცხო ენების დ. დედაენის სწავლება ერთობ კოჭლობდა და ეხლაც ვგონებთ ამ მდგომარეობაში არის და ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ მასწავლებლად აყენებდნენ ხშირად სხვა-და-სხვა წრის ინვალიდებს და ან იმისთანაებს, რომელთაც პურების გამოცხობისა, ტანისამოსის და წაღების კერვის მეტი არაფერი სცოდნიათ, მაგრამ აძლევდნენ ამ თანამდებობას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფრანცუზიაო, ან ქართველი. რადგანაც პირველი ფრანცუზია ჩვენებურს ნასწავლს ემჯობინებაო, კარგი ფრანცუზული გამოთქმა ექნებაო და მეორე ქართველია და იქნება ღმერთმა იპრიანოს და ვერაფერი ასწავლოსო. ამ გვარი მასწავლებლები ყმაწვილებს რასაკვირველია სასაცილოდ აგდებული ჰყავდათ და ფრანცუზულისა და ქართული ენის სწავლება მხოლოდ ფორმისათვის თუ იყო გიმნაზიებში და ან იმისათვის, რომ ვისმე ჯამაგირი ჰქონოდა. ახლანდელი ფრანციზულის ენის მასწავლებლად ქალის დაყენება მოსაწონია ყოველის მხრით, რადგან ქალს უფრო კარგი ზნეობითი გავლენა ექნება ყმაწვილებზედ, უფრო პატიოით მოეპყრობა მას ყოველი მოსწავლე და იმედია, რომ უცხო ენის შესწავლა უფრო კარგად მოხერხდება იქ, საცა ამ გვარი მასწავლებელი იქნება.

წერილი რედაქტორთან

—

ბ-ნო რედაქტორო! ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებთა ცუდი მდგომარეობა, წლევანდელის გვალვის გამო, ქვეყანამ იცის; ნამეტურ ჩვენისთანა საწყალს ხალხს შიმშილით წელი სწყდება.

შიმშილისაგან შეწუხებული მუცელი და ჩვენი წვრილი ცოლ-შვილი რომ შეძლების და გვარად დაგვეკმაყოფილებინა, ჩვენ ეს ორი დღეა, რაც წამოვსულვართ სახლიდგან, იქნება ორი გროში ვიშოვნოთ და მით ორიოდე ბათმანი სიმინდი ვიყიდოთო.

ამ ნაირად ჩვენ დავიარებით ქუთაისში და მის ახლო-მახლო სოფლებში სამუშევრად. მეტი თქვენს მტერს ხანი არ ექმნეს, ჩვენ ბევრი შოვნა არ გვექონდეს, დღეში აბაზს ან ხუთ შაურს თუ ვიგებთ და უფრო ხშირად კი ცუდათ გახლავართ.

გუშინწინ ერთმა ქუთაისში მცხოვრებმა ი. ჭელიძემ დაგვიქირავა ორ-

---

ბის სფერაში შეიხედეთ. გაზეთს „შრომაში“ კორრესპონდენტი იწერება, რომაო სოფელ დიხაშხოში ერთი მასწავლებელი ყოფილა ისეთი, ისეთი, რომაო ცალი და ბადალი არ ეყოლება იმას დუნიაზეადაო, და საქმეც ისეთი შემთხვევია, რომ ვეჭობ, თუ სხვა ვისმესაც შეემთხვეოდა იმ გვარი ხიფათი. რადგანაც ეს მასწავლებელი თითონაც არა-ჩვეულებრივი ყოფილა და ხიფათიც უმაგალითო დამართებია, ბარემ დავასახელოთ ჩვენც იმისი გვარი, რომ ჯეროვანი ყურადღება დაიმსახუროს საზოგადოებაში და ყველას მეხსიერებაშიაც ჩარჩეს იგი. ეს მასწავლებელი ყოფილა ბ. ტაბიძე. იმისი თავგადასავალიც მდგომარეობს შემდეგშიო:

ბ. ტაბიძე ასწავლიდა თურმე სოფლის ყმაწვილებს და ასწავლიდა თავისებურად, რადგან იმის წარმოდგენაში არა ჰქონია ადგილი იმ აზრს, რომ შესაძლებელია სხვანაირი სწავლება. ეს იმითი აიხსნება, რომ ბ. ტაბიძეს ჯერ თითონაც არავითარი სწავლა არა ჰქონია და არც უგერძვნია მისი საჭიროება. აქეე უნდა ესთქვათ, რომ ჩვენებურ სოფლის სკოლებს თითქო დაკვებული ჰქონდეს ამ გვარი მასწავლებლებიო, ისინი ძალიან ბლომადაც გახლავან, ასე რომ კაცს ანატრებენ თავიანთ შემცირებას. ჰო, და ამ ბ. ტაბიძეს დაუჩემებია ერთ გვარი პედაგოგიური სისტემა, რომელიც, მართალია, მეფობდა „მას ქამსა შინა“, მაგრამ კარგა ხანია, განდეგილ შეიქმნა სკოლებიდგან. ეს სისტემა გახლავსთ ყმაწვილის ცხვირ-პირში ცემა, ტყეპა და სხვა ამ გვარი შეურაცხყოფა, რომელსაც დიდის ერთგულებით აღსრულებდა პედაგოგი ტაბიძე.

ერთხელ თურმე გადააჭარბა თავისი საქციელი და იქამდისა სცემა ერთ პატარა შეგირდს, ვიდრე ის ტირილითა და თავში ცემით არ გაიქცა თავის მამასთან და არ შესჩივლა ეს უბედურება. მამა გაგულისდა, მოუვიდა ბრაზები და გამოსწია მასწავლებლისკენ, რომელსაც ფერდებზედ დაუმტკიცა, რომ გლეხმა კაცმა ნაკლებად არ იცის ცემა, ვიდრე მასწავლებელმა, და თუ კი ცემა ასწავლის რასმეს, მაშინ სკოლაში სიარული სრულებით მომატებული გახლავსო. ცემას ცემა მოჰყვა, პედაგოგი გაიტყიპა უბრალო გლეხისაგან!

ეს ძალიან კარგი გაკვეთილია მასწავლებლისათვის. მე რომ, ღმერთმა კი დამიფაროს და, ბ. ტაბიძეს ადგილას ვიყო, თუმცა ზურგი კი ჩამტვრეული მექნებოდა გლეხის მუშტებისაგან, სწორედ თავს მოვიწონებდი, რომ ჩემ, სისტემა ისეთ მომხრეებს იშოვნიდა თვით გლეხებშიაც, რომ თითო ამ უმეცარ ხალხშიაც კი ცემა მიიღებდა საუკეთესო ხასიათს სწავლების იარაღთა შორის. მასწავლებელს ცემით გაჰყავს თავისი აზრი, აგრეთვე გლეხიც ცემითვე უმტკიცებს ბ. ტაბიძეს თავის გლეხურ აზრს...

სწორედ, საკუთარი აზრით მივიდოდა ბ. ტაბიძე ამისთანა პედაგოგიურ ჭეშმარიტებამდის, თორემ მაშ, აბა, ან ვინა და ან რა დაეხმარებოდა იმას ამისთანა საქმეში. ოდნით იმან არა უნდა იცოდეს-რა, მაშასადამე, ეს მაცხოვარი პედაგოგიური სისტემა იმას არსაიდან არ ექნება ამოკითხული. ცნობით იმ კაცს ისეთ გვამებთან ექნება ნაცნობობა, როგორც თითონა ბრძანდება დამოუკიდებელი. და ვინ არ იცის, რომ ყოველი „დამოუკიდებელი“ კაცი თავის ჭკუაზედ დაიარება...

×

აი, ეხლა განა ბ. ჩემესოვიც „დამოუკიდებელი“ კაცი არ არის! დამოუკიდებელი გახლავსთ და მერე როგორი. იძახის, რომაო მე გამოჩენილი ადვოკატი ებრძანდებიო და როდესაც შესდგება მთელი, განუყოელი სამება ჩემისთანა კაცებისაგანაო,

ორ აბაზად; მისს ეზოში, რიონის პირად, რკინის კეტებით ქვები უნდა მიგვეწყო. საღამოს მოვიდა პოლიციის დესიატნიკი, გამოგვიცხადა, რომ პოლიციაში გიბარებენო და უნდა წამოხვიდეთ თქვენის რკინის კეტებით. მიახელით პოლიციაში, სადაც ჩამოგვართვეს რკინის კეტები და ჩვენ საპყრობილეში ჩაგვსვეს. რატომ და რისთვის—ვერ გაგვიგია.

შემდგომ, როცა მოვახსენეთ ბ. პოლიციის პრისტავს, გვიბრძანა, რომ არ გქონდათ უფლება მუშაობისაო...

—ბატონო, ჩვენ მუშა კაცები გახლავართ და რა მიზეზი უნდა იყოს და ან რა შეცოდება უნდა გვქონდეს, რომ აღარ ვიმუშაოთ; მუშას, რომ მუშაობა აღეკრძალოს, არ გაგონილა.

მაგრამ ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო“—სწორედ ასეა ჩვენი საქმე.

თუ იმ ალაგს ადგილის მეპატრონეს არ ანებებენ ქვებისაგან თავისი ალაგი გაწმიდოს, ეს ჩვენი საქმე მაინც არ იყო: უნდა აღეკრძალათ მუშაობა. რკინის კეტების წართმევას და საპყრობილეში ჩასმას რაღას გვემართლებოდნენ. ახლა პატრონი რკინის კეტებს გვახდევინებს და არც ნამუშევარს გვაძლევს, სანამ რკინის კეტებს არ მიუტანთ!

შმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო ეს ჩვენი ნაანბობი, რომლის დაწერა ერთ მადლიან კაცს ვთხოვეთ, ჩასწეროთ თქვენს გაზეთში, იქნება რკინის კეტები დაგვიბრუნონ და ჩვენ, ჩვენი მუშაობისთვის ქირა მივიღოთ. ჩვენმა დატუსაღებამ ჭირი მოგვამოსთ.

მუშები: ს. ყიფიანი და გ. ფრუიძე.
16 დეკემბერი.
ქ. ქუთაისი.

ქართული თეატრი.

წარმოდგენა 15 დეკემბერს.

წარსულს ოთხშაბათს გამოცხადების და კვალად ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იყო შეშო, ბ. სუნდუკიანცის კომედია და „მეჯლისი იტალიელებით“.

ჩვენ-და სამწუხაროდ იმედი ვერ გაგვიმართლა ამ წარმოდგენამ, რადგანაც ბ. ყიფიანი პეპოს როლში სრულიად არ ეარგოდა. ის უფრო შექსპირის გმირს თამაშობდა, სანამ ქალაქელს კინტოს, რომლის მოძრაობასაც და ლაპარაკის კილოსაც თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ამ მოთამაშეს ეს როლი მით უფრო წაუხდა, რომ როლი არ იცოდა და პეპოს გრძელი მონოლოგები გაატარა მეტად მოსაწყენად, რადგანაც ყოველ ნაბიჯზედ ზდგებოდა და ყურს უგდებდა მეტად მაღლა მყვირალს სუფლიორს. ამ გვარი შეჩერება, წყნარი ლაპარაკი, სუფლიორის ყურის გდება მოხუცი კაცის როლში კიდევ მოსათმენია, მაგრამ ყმაწვილს, სიცოცხლით და ენერგიით სავსე პეპოს როლში-კი არა. ეს მით უფრო მოსაწყენი იყო, რომ პეპოს როლი ქ. ყიფიანს, ე. ი. სანაქებო არტისტს წაუხდა, და სწორედ ეს მიზეზი არის, რომ ამდენს ვლაპარაკობთ ამ როლზედ.

ბ. ქ. ყიფიანი მეტად კარგი არტისტი არის, მეტად ნიჭიერი, რომ არ გაუფთხილდეს თავის სახელს და ყმაწვილი კაცის როლებში გამოვიდეს. იმან საუკუნოდ უნდა გადაიწყვიტოს იმედი ამ გვარს როლებზედ და გადაიწყვიტოს მით უფრო, რომ რამდენადაც წინა წარმოდგენებზედ მოხუცი ბიქოს როლში იმაჟე პიესაში, ჩინებული იყო ბ. ყიფიანი, იმდენად სუსტი გამოდგა ყმაწვილ პეპოდ.

ბ. ნ. ჯორჯაძემაც სუსტად გაატარა ბიქოს როლი, რადგანაც იმასაც არა ჰქონდა გაზეპირებული ეს როლი.

ბ. აბაშიძე ზიმზიმოვის როლში ჩვეულებრივ ჩინებული იყო, მაგრამ ერთისა და ორის რიგიანი თამაში პიესას ვერ დაიხსნის.

საზოგადოდ კომედია „შეშომ“ ძალიან სუსტად ჩაიარა, მაგრამ ამის საზოგადოებაში. ეს აზრი გაიგეს ბ.ბ. ჩემესოვმა, იაკულოვმა და დოლგოლენკომ და გადაწყვიტეს დაუღლება, რომ ცხოვრების გზაში აღარ დახვდეთ მრავალნი დაბრკოლებანი, რომელნიც აქამდის მათ ცალკ-ცალკე ბევრს უშლიდნენ.

ეს საქციელი არ დაუჯდათ ჭკუაში დანარჩენ ადვოკატებს. არც გასაკვირველია. სად სამი კაცი და სად გაქსაქსულ-გაფანტული ადვოკატები, რომელნიც ერთმანეთის სისხლსა სვამენ და ერთმანეთს სამარეს უთხრიან, რა არის, ყოველი საქმე გამოსტაცონ ხელიდგან თანამოძმეს.

ამითი აიხსნება ისიცა, რომ ჩვენი რუსული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები ამ ბოლოს დროს აჭრელდნენ ხვა-და-ხვა პასუხებითა და გინებით. მაგრამ ამ გინების საფუძველი ისეთი ჭუჭყიანია, რომ საკვირველია, საიდგანა პოულობენ იმოდენა ღონესა, რომ საქვეყნოდ იღებენ ხმას ადვოკატები ამისთანა თავაზიან საქმეზედ.

ეს კია, რომ დღეს ძალა ადვოკატებს უკავიათ ხელში. რომელი ჩვენგანი არ ჩამოსთვლის თითებზე ათობით იმისთანა ადვოკატებს, რომელნიც სულით ეძებენ პრაქტიკას იმიტომ კი არა, რომ სინიდისიანად ეხმარებოდნენ სამართალს, დაჩაგრული უფლების აყენებას, არამედ იმიტომ, რომ გამვლელ-გამომვლელს ჩაჰკიდონ კლანჭები და სული ამოართვან პირიდგან, გამოწუწონ, გამოწურონ, რაც კი რამ აბადია საწყალ იმათ მსხვერპლს. ზანა თითონ ბ. ჩემესოვს არ ახსოვს, რომ ერთმა უსინიდისო მეგობარმა ადვოკატმა ერთ სურამელ ობოლ კაცს, რომელიც თითონვე დააკარიელა უკანასკნელ გროშამდის, ამ ადვოკატმა უბრალო პროექტის შედგენაში მოსთხოვა ხუთასი მანეთი, რასაკვირველია, მეგობრობით, და უცნობმა ნოტარიუსმა კი შეუდგინა იგივე პროექტი ერთ თუმნად.

ამისთანაები კი იციან ზოგიერთ ადვოკატებმა და იმათ ამხანაგებმა. ამიტომაც არის, რომ ჩვენებურ ადვოკატებს ეერივათ გული, როდესაც იურიდიული კაბინეტები შემოიღეს ტფილისში და უცებ დასცეს ადვოკატების ფასები ერთი-ასად თუ არა, ერთი-ათად ხომ უეჭველია. „ზამოჩენილი“ ადვოკატი თხოვნას დასწერს ხუთ თუმნად, მაშინ, როდესაც იურიდიული კაბინეტი იმავ თხოვნაში გამოართმევს არა უმეტეს სამი მანეთისა. ზანსხვაევება დიდია. მაშ ადვოკატებს ფასი არ დაკლდება!..

სტ. ჯრ—შვილი.

ორ ალაგ ეზოში, რიონის პირად, რკინის კეტებით ქვები უნდა მიგვეწყო. საღამოს მოვიდა პოლიციის დესიატნიკი, გამოგვიცხადა, რომ პოლიციაში გიბარებენო და უნდა წამოხვიდეთ თქვენის რკინის კეტებით. მიახელით პოლიციაში, სადაც ჩამოგვართვეს რკინის კეტები და ჩვენ საპყრობილეში ჩაგვსვეს. რატომ და რისთვის—ვერ გაგვიგია.

შემდგომ, როცა მოვახსენეთ ბ. პოლიციის პრისტავს, გვიბრძანა, რომ არ გქონდათ უფლება მუშაობისაო...

—ბატონო, ჩვენ მუშა კაცები გახლავართ და რა მიზეზი უნდა იყოს და ან რა შეცოდება უნდა გვქონდეს, რომ აღარ ვიმუშაოთ; მუშას, რომ მუშაობა აღეკრძალოს, არ გაგონილა.

მაგრამ ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო“—სწორედ ასეა ჩვენი საქმე.

თუ იმ ალაგს ადგილის მეპატრონეს არ ანებებენ ქვებისაგან თავისი ალაგი გაწმიდოს, ეს ჩვენი საქმე მაინც არ იყო: უნდა აღეკრძალათ მუშაობა. რკინის კეტების წართმევას და საპყრობილეში ჩასმას რაღას გვემართლებოდნენ. ახლა პატრონი რკინის კეტებს გვახდევინებს და არც ნამუშევარს გვაძლევს, სანამ რკინის კეტებს არ მიუტანთ!

შმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო ეს ჩვენი ნაანბობი, რომლის დაწერა ერთ მადლიან კაცს ვთხოვეთ, ჩასწეროთ თქვენს გაზეთში, იქნება რკინის კეტები დაგვიბრუნონ და ჩვენ, ჩვენი მუშაობისთვის ქირა მივიღოთ. ჩვენმა დატუსაღებამ ჭირი მოგვამოსთ.

მუშები: ს. ყიფიანი და გ. ფრუიძე.
16 დეკემბერი.
ქ. ქუთაისი.

ქართული თეატრი.

წარმოდგენა 15 დეკემბერს.

წარსულს ოთხშაბათს გამოცხადების და კვალად ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იყო შეშო, ბ. სუნდუკიანცის კომედია და „მეჯლისი იტალიელებით“.

ჩვენ-და სამწუხაროდ იმედი ვერ გაგვიმართლა ამ წარმოდგენამ, რადგანაც ბ. ყიფიანი პეპოს როლში სრულიად არ ეარგოდა. ის უფრო შექსპირის გმირს თამაშობდა, სანამ ქალაქელს კინტოს, რომლის მოძრაობასაც და ლაპარაკის კილოსაც თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ამ მოთამაშეს ეს როლი მით უფრო წაუხდა, რომ როლი არ იცოდა და პეპოს გრძელი მონოლოგები გაატარა მეტად მოსაწყენად, რადგანაც ყოველ ნაბიჯზედ ზდგებოდა და ყურს უგდებდა მეტად მაღლა მყვირალს სუფლიორს. ამ გვარი შეჩერება, წყნარი ლაპარაკი, სუფლიორის ყურის გდება მოხუცი კაცის როლში კიდევ მოსათმენია, მაგრამ ყმაწვილს, სიცოცხლით და ენერგიით სავსე პეპოს როლში-კი არა. ეს მით უფრო მოსაწყენი იყო, რომ პეპოს როლი ქ. ყიფიანს, ე. ი. სანაქებო არტისტს წაუხდა, და სწორედ ეს მიზეზი არის, რომ ამდენს ვლაპარაკობთ ამ როლზედ.

ბ. ქ. ყიფიანი მეტად კარგი არტისტი არის, მეტად ნიჭიერი, რომ არ გაუფთხილდეს თავის სახელს და ყმაწვილი კაცის როლებში გამოვიდეს. იმან საუკუნოდ უნდა გადაიწყვიტოს იმედი ამ გვარს როლებზედ და გადაიწყვიტოს მით უფრო, რომ რამდენადაც წინა წარმოდგენებზედ მოხუცი ბიქოს როლში იმაჟე პიესაში, ჩინებული იყო ბ. ყიფიანი, იმდენად სუსტი გამოდგა ყმაწვილ პეპოდ.

ბ. ნ. ჯორჯაძემაც სუსტად გაატარა ბიქოს როლი, რადგანაც იმასაც არა ჰქონდა გაზეპირებული ეს როლი.

ბ. აბაშიძე ზიმზიმოვის როლში ჩვეულებრივ ჩინებული იყო, მაგრამ ერთისა და ორის რიგიანი თამაში პიესას ვერ დაიხსნის.

საზოგადოდ კომედია „შეშომ“ ძალიან სუსტად ჩაიარა, მაგრამ ამის საზოგადოებაში. ეს აზრი გაიგეს ბ.ბ. ჩემესოვმა, იაკულოვმა და დოლგოლენკომ და გადაწყვიტეს დაუღლება, რომ ცხოვრების გზაში აღარ დახვდეთ მრავალნი დაბრკოლებანი, რომელნიც აქამდის მათ ცალკ-ცალკე ბევრს უშლიდნენ.

ეს საქციელი არ დაუჯდათ ჭკუაში დანარჩენ ადვოკატებს. არც გასაკვირველია. სად სამი კაცი და სად გაქსაქსულ-გაფანტული ადვოკატები, რომელნიც ერთმანეთის სისხლსა სვამენ და ერთმანეთს სამარეს უთხრიან, რა არის, ყოველი საქმე გამოსტაცონ ხელიდგან თანამოძმეს.

ამითი აიხსნება ისიცა, რომ ჩვენი რუსული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები ამ ბოლოს დროს აჭრელდნენ ხვა-და-ხვა პასუხებითა და გინებით. მაგრამ ამ გინების საფუძველი ისეთი ჭუჭყიანია, რომ საკვირველია, საიდგანა პოულობენ იმოდენა ღონესა, რომ საქვეყნოდ იღებენ ხმას ადვოკატები ამისთანა თავაზიან საქმეზედ.

ეს კია, რომ დღეს ძალა ადვოკატებს უკავიათ ხელში. რომელი ჩვენგანი არ ჩამოსთვლის თითებზე ათობით იმისთანა ადვოკატებს, რომელნიც სულით ეძებენ პრაქტიკას იმიტომ კი არა, რომ სინიდისიანად ეხმარებოდნენ სამართალს, დაჩაგრული უფლების აყენებას, არამედ იმიტომ, რომ გამვლელ-გამომვლელს ჩაჰკიდონ კლანჭები და სული ამოართვან პირიდგან, გამოწუწონ, გამოწურონ, რაც კი რამ აბადია საწყალ იმათ მსხვერპლს. ზანა თითონ ბ. ჩემესოვს არ ახსოვს, რომ ერთმა უსინიდისო მეგობარმა ადვოკატმა ერთ სურამელ ობოლ კაცს, რომელიც თითონვე დააკარიელა უკანასკნელ გროშამდის, ამ ადვოკატმა უბრალო პროექტის შედგენაში მოსთხოვა ხუთასი მანეთი, რასაკვირველია, მეგობრობით, და უცნობმა ნოტარიუსმა კი შეუდგინა იგივე პროექტი ერთ თუმნად.

ამისთანაები კი იციან ზოგიერთ ადვოკატებმა და იმათ ამხანაგებმა. ამიტომაც არის, რომ ჩვენებურ ადვოკატებს ეერივათ გული, როდესაც იურიდიული კაბინეტები შემოიღეს ტფილისში და უცებ დასცეს ადვოკატების ფასები ერთი-ასად თუ არა, ერთი-ათად ხომ უეჭველია. „ზამოჩენილი“ ადვოკატი თხოვნას დასწერს ხუთ თუმნად, მაშინ, როდესაც იურიდიული კაბინეტი იმავ თხოვნაში გამოართმევს არა უმეტეს სამი მანეთისა. ზანსხვაევება დიდია. მაშ ადვოკატებს ფასი არ დაკლდება!..

სტ. ჯრ—შვილი.

უცხოეთი

საფრანგეთი. ჯერ სრულიად ვერ დაუმყარებია მშვიდობიანობა ერთ ევროპის დიდს სახელმწიფოს—ინგლისს ეგვიპტეში, რომ მეორე დიდსაც სახელმწიფოს, საფრანგეთს, განზრახვა აქვს ეგვიპტესებური პატარა სახელმწიფო მადაგასკარი იგდოს ხელში, თუ სულ არა, ისეთ დამოკიდებულებაში ჩააყენოს მაინც თავისთან, როგორშიაც ინგლისმა ჩააყენა, ან უპირებს ჩაყენებას, ეგვიპტეს. მადაგასკარის ორი წარმომადგენელი არიან ამ ჟამად ლონდონში. უფროსს ამათგანს, რაეონიხახიტრინიარიეოს, შემდეგი სიტყვებით, მიუმართავს იმ წრისათვის, რომელმაც ამათ პატივისაცემად გამართეს ბანკეტი.

„მადაგასკარის ხალხს ვერ გაუგია, რა უფლება აქვს სხვა ერს, ხელი შეუშალოს მათ ლტოლვილებს განათლების კვალზედ. მზათა ვართ ეისარგებლოთ ყოველის უცხოეთლებისაგან მონიჭებულის კეთილით; ჩვენი სურვილია—ეს კეთილი, რაც შეიძლება, გაძლიერებული იყოს. მაგრამ სირცხვილად უნდა ჩაეთვალოს ევროპას, თუ ეს წინააღუდგება ჩვენს ხალხოსნურ განვითარებას. სრულიადაც არა გვსურს ჩვენ დავიდარაბის ატეხა საფრანგეთთან, რადგანაც მას პატივსა ვცემთ. ჩვენი წადილია, მტკიცედ, შეურყეველად ვიხელ-მძღვანელოთ იმ პირობებით (ტრაქტატი), რომლებითაც ჩვენ[illegible] მფარველობა შეეკრა დანარჩენ სახელმწიფოებს“.

— რუსის ემიგრანტი — ქრაპოტკინი, როგორც დეპეშებმა გვაცნობეს დაატუსაღეს საფრანგეთში. ქრაპოტკინი დამწყვდეულია ქ. ლიონის სატუსაღოში. იმას გაუჩხრიკეს სახლი და უპოვეს ნამდვილი საბუთები, რომ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ანარხიულ მოძრაობაში.

ქრაპოტკინმა დააარსა საფრანგეთში ანარხიული წრე; ხშირად დადიოდა ხოლმე ის ქ. ლიონში და მონაწილეობდა საიდუმლო კრებებში. ქრაპოტკინს და მასთან 45 სხვა ანარხისტებს მომავალი წლის იანვარში გაასამართლებენ ლიონში.

— ბამბეტტა კიდე ავად არის, ხელი თითქმის სულ მოურჩა, მაგრამ დიდხანს ლოგინში ყოფამ და წმინდა ჰაერის მოკლებამ წელების ანთება მოგვარა მას. მაგრამ ექიმები იმედობენ ამ ავადმყოფობის ადვილად დაძლევას.

ინგლისი, ფრანცუზ. გაზ. „Journal de Débats“-ში სხვათა შორის, აი რა სწერია ინგლისის მოქმედებაზედ ეგვიპტის შესახებ: მუდამ ჟამს მთელი ევროპა იყო მონაწილე რომელიმე დასავლეთ სახელმწიფოს მოქმედებაში მდ. ნილოსის ნაპირებზედ. არც ერთი ეგვიპტის შესახები საქმე არ გარჩეულა, საზოგადო, ხალხთა შორის მოულაპარაკებლად. ერთის სიტყვით ევროპა იყო მუდამ ყველა ეგვიპტის საქმეების გადამწყვეტი და სხვა-დასხვა ახალ ცვლილებათა შემომღები ამ ქვეყანაში. ახლა, თუ ინგლისი არ მოიშლის თავისას და მოიწადინებს ეს საზოგადო ევროპის განვლენა ეგვიპტეზედ შეცვალოს, ეგვიპტე დამოუკიდებელი გახადოს ამ განვლენისაგან, ეს ამ გვარი მისი წადილი, მხოლოდ დაღუპავს ეგვიპტეს, რადგან რამოდენიმე ინგლისელები არა კმარან, რომ ეს ქვეყანა, ეგვიპტე და მისი საქმეები წარმატებით წაიყვანონ.

განცხადებანი

არწრუნის თეატრი.

კვირას, 19 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ქმარი სუთის ცოლისა

კომედ. 2 მოქმ. თხზ. ანტონოვისა.

II

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი-კომედია 2 მოქმ., რუსულიდამ გადმოკ. თ. რ. ერისთვისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.

გაიცემა იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. უვარელში. საჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ტუე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი საჯარო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—5)

ბ.ბ. მუშტართ ჩაისა

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ კ. და ს.

ძმანი კ. და ს. კაპოლვები, სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—8)

ვ. შავერდოვის გაზეთის საგენტოში ტფილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც. (20—17)

ექიმი—ბებია

ნ. დ. გავროლნსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით **დედაცთა და ბავშვების** სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—8)

ჯურჯელი! ჯურჯელი! ჯურჯელი!

მივიღეთ დიდი რიცხვი: თეფშები 1-ლი ხარისხისა 2 მ. და 30 კ. დიუჯ.; დანა-ჩანგალი, ჩაი 1-ლის ხარისხისა, კალმები, ფანქრისები, სანთლები, პარაშოკი (ბორაკს) სარეცხისათვი, საშტენი თბილი ჩულქები, 3000 პატაუკი თითო აბაზათ! 600 რკინის კროტი 5 მანეთიდგან 55 მანეთამდინ, ფურაქკები, ტანისამოსი, დრაპი, შედგენილი ყვავილები ფოლადის სახურავებით და მრავალი სხვა საქონელი, ისყიდება ესლიდგან ასალ-წლამდინ ნახევარ ფასად, ანგლიის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. 5—4

Вышла въ свѣтъ книга:

СВЯТѢЙШІЙ СѴНОДЪ ПРИ ПЕТРѢ ВЕЛИКОМЪ въ его отношеніи къ правит. сенату.

Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова. (10—1)

წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

სატაკური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. მინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20%. ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—8)

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის **სკოლაში და შინ საკითხავად** ადგილისა

გამოცემა ვ. მ. შავერდოვის გაზეთის საგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული **ზ. ჭიჭინაძისაგან**

ფასი ხუთი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

შედარებ. ნგენი ნაბ.	1 ფ. 10 კ.	ფოსტოვის ნაბ.	1 ფ. 40 კ.
— —	—1—20	—	—1—60
— —	—1—40	—	—1—80
— —	—1—60	—	—2— „
— —	—1—80	—	—2—50
საუკეთესო	—2— „	—	—3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—26)

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის საგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

ისტორია

შედგენილი **რომან** ანანიეისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

ბოლოში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება **გრ. ჩარკვიანის** ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა **ერთი** აბაზი

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1	გირ.	5 კ.
მეორის „	—1	გირ.	3½
მესამის „	—1	გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1	გირ.	5 კ.
მეორის „	—1	გირ.	4 კ.

ჭვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1	გირ.	5 კ.
მეორის „ „	—1	გირ.	4½
მესამის „ „	—1	გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1	გირ.	9 კ.
მეორის „	—1	გირ.	8 კ.
სუკი — —	—1	გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1	გირ.	9 კ.

ლორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1	გირ.	10 კ.
მეორის „	—1	გირ.	9 კ.

ნამდვილი საკერავი მაშინები ზინგერისა



სასარგებლო საჩუქარი

საშობაოდ

ახალის მოწყობილობით, აქვს ჩუმად მომუშავე სტანოკი ბორბლებზე, უბრალო და მაგარი მეხანიზმი, საუკეთესო და მრავალ-გვარ სამუშაოს აღმსრულებელი მაშინებია ოჯახში მოსახმარად და აგრეთვე ხელოსნებისათვის.

სრული გარანტია:

31 წლის არსებობა ფაბრიკისა, თან-და-თან უფრო ბევრი ისყიდება, შარშ. 561,000 გაისყიდა, სულ ხუთ მილიონამდინ გაგვისალებია, მსყიდველს შეუძლია კვირაში ორი მან. შემოიტანოს მაშინის ფასი. ვასწავლით და ყუთში ვაკეთებთ უფასოდ.

თან-და-თან ბევრი მაშინების გასყიდვა ამტკიცებს, რომ კარგი რამ ყოფილა.

ბ. ნეიდლინგერ, ტფილისში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახ. (4—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Декабря 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. შელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი